



N 7474/01  
19/07/2021

7474-01-2-202107190914



ონის მუნიციპალიტეტის მერიას

გაცნობებთ, რომ 2021 წლის 14 ივლისს შპს „ბ.პ. ტრანსის“ მიერ სამინისტროში წარმოდგენილია ონის მუნიციპალიტეტში, სოფ. უწერაში ქვა-ლორდის გადამამუშავებელი საწარმოს მოწყობისა და ექსპლუატაციის სკრინინგის განცხადება.

სკრინინგის განცხადების შესახებ ინფორმაცია თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად განთავსებულია სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე (იხ. ლინკი - <https://mepa.gov.ge/Ge/PublicInformation/32036>).

დაგეგმილი საქმიანობის სკრინინგის განცხადებასთან დაკავშირებული წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ წარუდგინოთ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2021 წლის 26 ივლისის ჩათვლით, მისამართზე: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N6, ან ელ. ფოსტის მისამართზე: [eia@mepa.gov.ge](mailto:eia@mepa.gov.ge)

გიგზავნით ზემოაღნიშნულ სკრინინგის განცხადებას თანდართული დოკუმენტაციით. გთხოვთ, უზრუნველყოთ სკრინინგის განცხადების განთავსება თქვენი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე ან/და მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე, ამასთან წარმოგვიდგინოთ ინფორმაციის განთავსების დამადასტურებელი ფოტომასალა.

დანართი: ტექსტის თანახმად.

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

